ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1101/10/027

23 აპრილი 2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობა, მდებარე: ქ. თბილისი, წყნეთი, დ. ამილახვარის ქ. №27 ა, გამგებლის – გიორგი ნიკოლაძის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი", და მეორეს მხრივ მდებარე: ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. №35, ს/ნ 205180999, შ.პ.ს. „ალტა სერვისი"-ს დირექტორის დ. სოფრომაძის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: დიდგორის რაიონის გამგეობის 1 ცალი ქსეროქსის DRUM/CANON CEXV18IR1018/1018j/1020/1022A-is (რემონტი ფასი – 233.0 ლარი) და Copier-ის რემონტის (ფასი 75.0 ლარი;) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე. (შესყიდვის კატეგორია 50300000);

2. ხელშეკრულების ობიექტი

"მიმწოდებელი" ვალდებულია გაუწიოს მომსახურება „შემსყიდველს": დიდგორის რაიონის გამგეობის სარგებლობაში არსებული 1 ცალი ქსეროქსის DRUM/CANON CEXV18IR1018/1018j/1020/1022A-ის და Copier-ის რემონტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მომსაურების მიწოდების თარიღად ითვლება: 2012 წლის 23 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით.
3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. 35;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
- გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;
- მიიღოს მიწოდებული მომსახურება.

5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
- თუ მიწოდებული მომსახურება და მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს, მოითხოვოს მისი თავიდან შესრულება.

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
- გაუწიოს მომსახურება "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 308.0 (სამასრვა) ლარს. (დღგ-ს, ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით).
6.2 დაფინანსება განხორციელდება მუხლიდან: „ოფისი ხარჯები".

7. ფასები

7.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან „შემსყიდველისათვის" უარესდება ხელშეკრულების პირობები.
7.2. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ იქნება ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება : გადარიცხვა
8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): მომსახურების მიღების შემდეგ 15 კალენდარულ დღეში მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.
8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშ-ფაქტურისა მიღება-ჩაბარების აქტი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლიბა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით;
9.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით;
9.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 1 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10. ფორს–მაჟორული სიტუაციები

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი შორენა ლომაია და ინსპექტირების ჯგუფი.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2012 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტურად.

14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობა,
ს/კ 204521954
მდებარე: ქ. თბილისი, წყნეთი,
დ. ამილახვარის ქ. №27ა
ს/ს „ლიბერთი ბანკი„
ცენტრალური ფილიალი
ა/ა №GE95LB0125152101627000;
ბ/კ 220101480;

გიორგი ნიკოლაძე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ალტა სერვისი", მდებარე: ქ. თბილისი,
საბურთალოს ქ. №35 პ/ნ 205180999,
სს „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ
ბანკის კოდი 220101757;

a/n GE58BR0000003608088490

დ. სოფრომაძე